

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 18

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

14.12.2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, დავით ხარძეიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, პაატა ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპალონ რამიშვილი, თორნივე ერისთავი.

(დანართი: N1)

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში- ლუბა გოგოძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ივანე მამფორია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -23

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ დეპუტატებს გააცნო შეკრების მიზეზი.

საკრებულოს წინა სხდომაზე მივიღეთ დადგენილება ბიუჯეტის ცვლილების შესახებ, ტექნიკური მიზეზის გამო ვერ მოხერხდა ამ დადგენილების გადაგზავნა „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოსაქვეყნებლად, ამ პრობლემების გამო საჭირო გახდა დღევანდელი შეკრება, რომ გადავაგზავნოთ ჩვენს მიერ მიღებული N27 დადგენილება ახალი რიცხვით.

საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

